პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 კვირა 15 მაისი № 114 (16854) ფასი 2 კაპ. 1977

საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელი, კოოპერატიული და კოოპერაციული ორგანიზაციები, კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, სამრეწველო საწარმოები და სატრანსპორტო ორგანიზაციები, ითვალისწინებენ რა ამოცანებს, რომელიც დასახლია საკავშირო ცენტრალური კომიტეტის წერილში კოლმეურნეებისადმი, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, მექანიზატორების, მეცნიერების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკებისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი, და ჩაბმული არიან წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის წელს უზრუნველყონ აწყობილი მუშაობა მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების პერიოდში, აიღონ მოსავალი უდანაკარგოდ, დაამზადონ საკმარო რაოდენობის საკვები, მთლიანად და გადამარბებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

1977 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ

იმისათვის, რომ დროულად მოეწყოს მოსავლის აღება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მაღალხარისხოვანი უხეშისა და წვნიანი საკვების დამზადება, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, ადგილობრივ სახოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალეს უზრუნველყონ 1977 წელს დროული მომზადება მოსავლის აღებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, აგრეთვე საკვების დამზადებისათვის, რისთვისაც: მთლიანად მოამზადონ ყველა მეურნეობაში არა უგვიანეს ორი კვირისა სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლის აღების და საკვების დამზადების დაწყებამდე მოსავლის ასაღები ტექნიკა, ამასთან გაითვალისწინონ, რომ კომბაინის ტიპის მანქანები უნდა მოამზადონ ორ ცვლად მუშაობისათვის, უზრუნველყონ ამ ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების რემონტის ხარისხის შემოწმება, აგრეთვე შეამოწმონ, თუ როგორ მოემზადნენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციები მოსავლის აღების მოწყობისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების და საკვების დამზადება-გადაზიდვისათვის; დააკომპლექტონ მოსავლის ასაღები აგრეგატები მაღალკვალიფიციური მექანიზატორებით, ფართოდ გაიჩაღონ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრება უდიდესი შრომის ნაყოფიერების მიღწევისათვის, სამუშაოთა მაღალი ხარისხისა და მოსავლის ასაღები მანქანების ტექნიკური შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების უზრუნველყოფისათვის; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მოსავლის აღებისა და კალოზე, დამამზადებელ პუნქტებსა და შესანახ ადგილებში მისი გადატანის დროს დანაკარგების თავიდან აცილება. უზრუნველყონ მარცვლოვანი კულტურების ყველა ნათესის სრული დაცვა და მათი აღება მხოლოდ სამარცვლედ; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საშემოდგომო კულტურებისა და ხიმინდის ნათესების დაცვას; დააზუსტონ შექმნილი პირობების შესაბამისად 1977-1978 წლების პერიოდში პირუტყვის გამოსაზამთრებლად საჭირო საკვების დამზადების გეგმები, უზრუნველყონ თივის, ხენეჯის, ხილოსის, ბალახის ფხვნილის, გრანულირებული და ბრიკეტირებული საკვების მაღალი ხარისხი, უფრო სრულად გამოიყენონ ყველა რეზერვი მეურნეობებში საკვები რესურსების დამატებითი დაგროვებისა და რაციონალური გამოყენებისათვის; ორგანიზაცია გაუწიონ უხეში საკვების დამზადების ერთდროულად მათს მიტანას პირუტყვის ზამთრობის ადგილებში, რათა ბაგური შენახვის დაწყებამდე ძირითადად დამთავრდეს უხეში საკვების მიტანა მეცხოველეობის ფერმებში, განახორციელონ საჭირო ღონისძიებები ხანძრებისა და დატაცებისაგან საკვების დასაცავად.

სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც მოსავლის ასაღებ და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და მათს სათადარიგო ნაწილებს, ტექნიკური რეზინის ნაწარმს, მოწყობილობას და საწვავ-სახმელ მასალებს უშვებენ, დაევალათ უზრუნველყონ მათი ვადამდე მიწოდება სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობისათვის.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს გამოეყოთ დამატებითი მოწყობილობა, ნავთობპროდუქტები, სალტეები, სათადარიგო ნაწილები, ტექნიკური რეზინის ნაწარმი და ელექტროტექნიკური ნაკეთობები, ლითონის ნაკეთობები, ლითონი და სხვა მასალები.

დადგენილებით განსაზღვრულია, რომ სსრ კავშირის მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები პირადად აგებენ პასუხს იმისათვის, რომ შესრულდეს დაწესებული დავალებები, კერძოდ, წარმოებულ იქნეს სოფლის მეურნეობას მიეწოდოს მოსავლის ასაღებად საჭირო ტრაქტორები, ავტომობილები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მათი სათადარიგო ნაწილები, საწვავ-სახმელი მასალები, სალტეები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და „საკოოფტექნიკას“ ნება დაერთოთ 1977 წლის მოსავლის აღებისათვის ახალი რაოდენობის საწვავ-სახმელ მასალები, რაც უზრუნველყოფს ავტოსატრაქტორო პარკის შეუფერებელ მუშაობას, კონტროლი დაუწესონ ტრანსპორტებში ნავთობპროდუქტების გამოყენებასა და შენახვას. დაწესდა, რომ ტრაქტორისტ-მემანქანეებს საწვავ-სახმელ მასალების ეკონომიისათვის (იმ პირობით, თუ დაიცავენ სამუშაოთა ხარისხის აგროტექნიკურ მოთხოვნებს და შეასრულებენ დავალებებს) მიეცემათ პრემია მათ მიერ დაზოგილი საწვავ-სახმელ მასალების ღირებულების 70 პროცენტის ოდენობით. თუ ტრაქტორისტ-მემანქანე გადახარჯავს ნავთობპროდუქტებს, მაშინ მას დაუკავებენ გადახარჯული საწვავ-სახმელ მასალების ღირებულების 50 პროცენტს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „საკოოფტექნიკას“ ნება დაერთოთ შექმნილი პირობების კვალობაზე შეუთანხმდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისას 1977 წლის მაის-აგვისტოში შეცვალონ სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის გამოყოფილი ფონდებიდან მარცვალასაღები კომბაინების მიწოდების ვადები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ მოსავლის აღებისას გამოიყენონ ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის სატვირთო ავტომობილები და ბორტიანი ავტომობილებიანი მძღოლთა შემადგენლობითა და სარემონტო საშუალებებით, გარდა დადგენილებით განსაზღვრული ზოგიერთი სამინისტროს და უწყების ავტომობილებისა.

საჭიროდ არის მიჩნეული მოეწყოს სატვირთო ავტომობილების საღამოობისთვის მუშაობა მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გადაზიდვის დროს. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს დაეკისრათ უზრუნველყონ მოსავლის აღებაზე მოწვეული მუშაკებს საგეგმო თვითღირებულებით, მაგრამ არაუმეტეს საცალო ფასისა, აგრეთვე დამატებითი გასამრჯელოს სახით მისცენ (უფასოდ) თივის, ნამჯა-ჩალის აღებაზე, ხილოსის, ხენეჯის დამზადებასა და ბალახის ფხვნილის წარმოებაზე დაკავებულ მუშაკებს, და მიჰყიდონ საგეგმო თვითღირებულებით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუდმივ მუშაკებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში ჰყავთ შინაური პირუტყვი, დამზადებული თივის და ხილოსის 10-მდე პროცენტი და ნამჯა — ჩალის 20-მდე პროცენტი.

საბჭოთა მეურნეობების, სატყეო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს უფლება აქვთ მისცენ თივის 50-მდე პროცენტი (უფასოდ) მუშაკებს, რომლებიც ბალახს თიბავენ და თივას ხელით ამზადებენ ტრაქტორებისა და მანქანების გამოყენებისათვის გამოუსადეგარ მიწებზე.

რეკომენდებულია აგრეთვე, რომ წახალისების ეს ღონისძიებანი გამოყენებულ იქნეს კოლმეურნეობებშიც.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ტრაქტორისტ-მემანქანეთა მატერიალური დაინტერესება მოსავლის მოკლე ვადაში და უდანაკარგოდ აღებით, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს ნება დაერთოთ 1977 წელს საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მარცვლეულის, სამარცვლე-პარკოსანი კულტურების, სამარცვლე ხიმინდისა და ხილოსის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბალახების და შაქრის ჭარხლის სათესლეების მოსავლის აღებაზე დასაქმებული ტრაქტორისტ-მემანქანეების შრომის გადიდებული ანაზღაურების მოქმედი პირობების ნაცვლად გაზარდონ ხანარდო ფასდებები მოსავლის აღების ხეზონური ნორმის შესრულების დონის კვალობაზე შემდეგი ოდენობით: მოსავლის აღების ხეზონური ნორმის 25-დან 40 პროცენტამდე შესრულებისას ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, უკრაინის, ურალის, ვოლგისპირეთის სამეურნეობებში — 25 პროცენტით, ხოლო დანარჩენ რაიონებში — 15 პროცენტით, ხეზონური ნორმის 40-დან 60 პროცენტამდე შესრულებისას — შესაბამისად 50 და 30 პროცენტით, ხეზონური ნორმის 60 პროცენტზე მეტად შესრულებისას — შესაბამისად 100 და 60 პროცენტით.

ხმა ხოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების დროს აღნიშნულ რაიონებში ფასდებები შესაბამისად გადიდებულია: მოსავლის აღების ხეზონური ნორმის 25-დან 40 პროცენტამდე შესრულებისას — 15 და 10 პროცენტით, ხეზონური ნორმის 40-დან 60 პროცენტამდე შესრულებისას — 30 და 20 პროცენტით, ხოლო ხეზონური ნორმის 60 პროცენტზე მეტად შესრულებისას — 60 და 30 პროცენტით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა შეთანხმოს და ხოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით დაამკვიდოს მარცვლეულის ნალეწისა და სხვა სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლის აღების ხეზონური ნორმების დადგენის წესი.

(დასასრული მე-2 გვ.).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ

ლ. ი. ბრეჟნევს

დიდად პატივცემულო ამხანაგო ბრეჟნევ!

მოვემგზავრები რა საბჭოთა კავშირიდან, რათა ჩავება ჩემს ქვეყანაში დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში, მინდა გულითადი სალამი შემოგითვალოთ და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას და მაგალ საბჭოთა ხალხს მადლობა მოვახსენო დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ესპანელი ხალხის განუხრელი მხარდაჭერისათვის, ჩვენი ხალხისადმი მეგობრული გრძნობისათვის.

ჩვენ მადლობელი ვართ აგრეთვე იმისათვის, რომ მრავალი წლის მანძილზე ნიადგ ზრუნავთ ესპანელ ემიგრაციაზე. საბჭოთა კავშირში, ეხმარებით მას.

ესპანელ მშრომელთა შვილები საბჭოეთში ჩამოყალიბდნენ როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, შეინარჩუნეს დედაენა და ეზიარნენ დიდ კულტურას.

გულთრგებთ თქვენ, ამხანაგო ბრეჟნევ, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, თქვენ რომ ხელმძღვანელობთ, და მთელ საბჭოთა ხალხს, რომელიც ესოდენ ახლობელი და მშობლიურია ჩვენთვის, ახალი წარმატებები მოგვეთხოვინოთ კომუნიზმის მშენებლობაში.

გულთბილი სალმით

დოლორეს იბაგური,
ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე.

მოსკოვი, 13 მაისი.

ხუთწლედის ადამიანები

ჩვენი უკიდეგანო ქვეყნის ზეებზე დაქრიან „კოლხეთის“ მარკის ტატვირთო ავტომობილები.

სასახელოდ შრომობენ მათი შემქმნელი — ქუთაისელი ავტომობილმშენებლები. ამ დღეებში კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა: პირველი კვარტალის მაჩვენებლებისათვის ქარხნის კოლექტივი ზედიზედ მეცხრამეტეჯერ დაჯილდოდა სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამ დიდ გამარჯვებაში თავისი წვლილი მიუძღვის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მთავარი კონვეიერის ამწეყობ ზეინკალს რომან კუჭუხიძეს. იგი მნიშვნელოვნად უხურებს დროს და უკვე ხექტემბრის ანგარიშში შრომობს.

* * *

ხურათებზე: ზემოთ — მოწინავე ამწეყობი ზეინკალი რომან კუჭუხიძე; ქვემოთ — ზეგეგმითი „კოლხეთები“ მზად არის გასაგზავნად.

მ. ბერსამინის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კოლხეთის“ მარკით

მზადება არჩევნებისათვის



აგიტაცია გაძლიერდა

ცხინვალი. (საკ. კორ.). ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესაბამისად ენერგიული მუშაობა გაიშალა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ამ კამპანიის მაგალ დონეზე მოსაწყობად პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ღონისძიებები, დამატებით გამოყვეს ასობით აგიტატორი და პოლიტინფორმატორი. ისინი ეწვევიან ადამიანებს, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებებსა და საცხოვრებელ ადგილებში ამომრჩეველებთან ატარებენ საგაგიტაციო საუბრებს.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში ოსურ ენაზე გამოიცა სოლქო, ხაჩალაჩო, სადაპი, რაიონული და საოოფლო საბჭოების არჩევნების დებულება, აგრეთვე სხვა საარჩევნო ლიტერატურა.

ხარჩევნო კამპანია ახალ ფაზაში შევიდა, მომდინარეობს დეპუტატებს კანდიდატთა წამოყენება.

მწერლები ამომრჩეველთა კლუბში

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის მუშათა დასახლების ერთ-ერთი შენობის ფანაჯრებ ამ დღეებში გაჩნდა ახალი წარწერა „ამომრჩეველთა კლუბი“. დღის ყოველ დროს აქ უჩვეულო ხალხმრავლობაა. ბევრი მემახტე-ამომრჩეველი თავისუფალ დროს კლუბში ატარებს.

ერცელი და ნათელი ოთახი უქერავს თემატურ გამოფენებს. შინაარსიანად არის გაფორმებული სტენდი, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

ამომრჩეველთა კლუბში პოლიტმასობრივ მუშაობას ეწევა აგიტკოლექტივი, რომელიც 55 აგიტატორს ერთიანებს.

შახტის ეწვია ქართველ მწერალთა ჯგუფი ა. კალანძე, ალ. გომიაშვილის, ს. ნარიმანიძის, ვ. ფურჭელაშვილის, ნ. გურეშიძის და ვ. ჯოლუხიძის შემადგენლობით. მწერლებმა მეშახტეებს გააცნეს თავიანთი ბეგმები, წაუკითხეს ახალი ლექსები, ილაპარაკეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ყველანი — თიბვაზე!

წელს უხვად მოვიდა ბალახი! გაზაფხულის ხშირმა წვიმებმა ხელი შეუწყო ბალახის ზრდას სათბებსა და საძოვრებზე. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაიწყეს წვნიანი მწვანე მასის აღება, დებენ სენაჟს. მაგრამ რამდენი ბალახი რჩება მოუთიბავი გზის პირებზე, ხეებში და ღელისპირის, უდაბურ ადგილებში, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ეზოებსა და გაზონებში, პარკებში, ბაღებსა და სკვერებში. მეშახელი არ ჰყოფნით, რათა ყარამათიანად გამოიყენონ ეს სიმდიდრე, ფუქად არ დაიკარგოს არც ერთი კილოგრამი ყუათიანი საკვები საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მეურნეობის მეცხოველეობისათვის.

სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 21 მაისიდან 21 ივნისამდე საკვების დამზადების ერთთვიურის მოწყობის შესახებ.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში შეძენილია საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადებაზე კომუნისტურ მაშათობებში ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა, მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივი მონაწილეობის გარკვეული დადებითი გამოცდილება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII (1975 წ.) და V პლენუმების მოთხოვნების შესაბამისად მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტაში რესპუბლიკის თვითეული მშრომელის პირადი წვლილის ამ ფორმამ ხელი შეუწყო, კერძოდ, იმას, რომ 1976-1977 წლებში მრავალფეროვანი საკვებით ქარაბად უზრუნველგვყო მთელი გამოსაზამთრებელი პირუტყვი ფერმებსა და კომპლექსებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკვების დამზადების სამუშაოებში მასობრიობას, „1977 წელს საკუთარი წარმოების მაღალხარისხოვანი საკვები საქართველოს სსრ სოფლისა და მეცხოველეობის სრული უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 მარტის დადგენილების შესასრულებლად დაადგინა, მომდინარე წლის 21 მაისს მოეწყოს საქართველოს სსრ ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა პირველი კომუნისტური შაბათობა თიბვისა და ბალკვების დამზადებისათვის.

საქართველოს აღკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაეკისრათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად უზრუნველყონ მაღალი ორგანიზებულობა და მასობრიობა, შაბათობის მონაწილეთა შეგნებული კომუნისტური შრომის ეფექტიანობა და სოციალისტური შეჯიბრების გაქანება.

ამ მიზნით მათ უნდა შეარჩიონ სათანადო გამოსაყენებელი ნაკვეთები, მიმაბარონ ისინი ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს; დააწესონ გამომუშავების ნორმა და გაუნაწილონ დავალებანი თვითეულ შრომითს კოლექტივს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შაბათობაში; თიბვის მონაწილენი უზრუნველყონ საჭირო ინვენტარით, სატრანსპორტო საშუალებებით, საკვებით და სამედიცინო მომსახურებით; განსაზღვრონ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამეურნეოთმშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მიიღებენ მწვანე საკვების დამზადებულ მასას და გადაამუშავებენ თივად და ბალახის ფხვნილად, უზრუნველყონ აქტიური ვენტილაციის მეთოდით თივის შრობის დანადგარებისა და ვიტამინიანი ბალახის ფხვნილის დასამზადებელი აგრეგატების გამართული და შეუფერებელი მუშაობა.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთებმა, რადიკომებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიამ და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა პირველი შაბათობის, შემდეგ კი მთელი ერთთვიურის მომზადებისა და ჩატარების შესახებ პუბლიკაციებითა და გადაცემებით ხელი შეუწყონ მასების დარაზმვას, რათა პირადი მონაწილეობა მიიღონ მეცხოველეობის განვითარებაში სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII (1975 წ.) და V პლენუმების მოთხოვნების შესაბამისად.

(საქინფორმი).

14 მაისი

„პრავდის“ ფურცლებზე

ჩვენი ქვეყნის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებში უკვე მწვანედ ბიბინებს ხაგაზა ფხულო კულტურები, აღმოსავლეთში კი მხოლოდ ახლა ჩაღდება მასობრივი თესვა. ჩვენი ქვეყნის უდიდეს ბედელში ხუთწლედის მეორე წლის მოსავლისათვის ბრძოლის ცხარე დღეებს ეძღვნება „პრავდის“ გუშინდელი ნომრის მოწინავე წერილი „ᲐᲦᲛᲝᲩᲐᲕᲔᲚᲗᲘᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲡᲐᲡ“.

გრძელდება მასალების ბეჭდვა რუბრიკით „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ“, ამჯერად მკითხველი გაეცნობა კურსკის მაგნეტური ანომალიის რაიონის ათვისების საინტერესო ისტორიას, რომელიც დასაბამი მისცა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ 1920 წლის 24 აგვისტოს ხელმოწერილმა დადგენილებამ.

განუზომელია თვითეული შრომითი კოლექტივის როლი ადამიანის იდეურ-ზნეობრივი ხასიათის ჩამოყალიბებაში. ეს დიდ მუშობას მოითხოვს, სადაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია დაუდევარი მუშაკების მიმართ მომთხოვნელობის ამაღლება, შრომის დისციპლინის განმტკიცება.

ამ ბრძოლ კარგი გამოცდილება აქვს ოუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს, სადაც ოშვა ძვირფასი თაოსნობა „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს კვერდით“.

ამ თაოსნობის დანერგვის პრაქტიკული შედეგებსა და შრომელთა აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის საკითხებზე მკითხველებს ესაუბრება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტკომის მდივანი პ. ბაქრაძე წერილში „ᲛᲝᲛᲗᲝᲕᲜᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲥᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲫᲐᲚᲐ“ (რუბრიკა — „ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲐᲚᲖᲐᲠᲓᲐᲜ — ᲞᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐᲛᲓᲔ“).

მიჩურინსკში გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ა. მ. გერასიმოვის სახლ-მუზეუმი. ქეჩაზე, რომელიც მის ხახელს ატარებს, აღადგინეს ხახლი, სადაც თავისი ცხოვრების მრავალი წელი გაატარა საბჭოთა ფერწერის გამოჩენილმა ოსტატმა. აქ მოწყობილი ექსპოზიცია მნახველებს აცნობს მხატვრის პირველ ნაწარმოებებს („ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲚᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲝᲕᲗ“).

სოციალისტური ქვეყნების ცხოვრებას, მრავალფეროვან ხალთაშორისო ინფორმაციას მკითხველი გაეცნობა მეოთხეგზუთე გვერდებზე. აქვე დაბეჭდილია ი. ალექსანდროვის ვრცელი სტატია: „ᲞᲔᲙᲘᲜᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲐᲪᲐᲒᲣᲚᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲤᲣᲨᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲛᲝ-ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

„ᲚᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲗ“ — ახეთი სათაური აქვს „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტების წერილს ტაშკენტან ოლქიდან. მასში მოთხრობილია ის თუ როგორ გაახარეს უზბეკეთში ხაქართველოდან 1949 წელს ჩატანილი ციტრუსოვანთა ნერგები, აგრეთვე უზბეკი სელექციონერის ზაინუტდინ ფაპრუტდინოვის ნაყოფიერი ხაქმიანობა ლიმონის ახალი ადგილობრივი ჯიშების გამოყვანისათვის.

გაზეთში ბევრი ხაინტერესო მასალა ქვეყნდება რუბრიკებით: „ᲗᲕᲘᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲚᲘ“, „ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲓᲐᲚᲐᲤᲣᲜᲘᲡᲘ“, „ᲞᲐᲜᲐᲛᲐᲠᲘᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲮᲣᲠᲘ“, „ᲗᲕᲘᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲗᲘᲗᲔᲑᲘᲡ“, „ᲙᲘᲜᲝ“, „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲔᲑᲘ“.

ПРАВДА

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

შემოღებულია იმ ტრაქტორისტ-მემანქანეებისა და მათი თანაშემწეების პრემირება, რომლებიც ორ ცვლად მუშაობენ მარცვალასახლებლებ, ჭარხლასახლებ, სილოსასახლებ, კარტოფილასახლებ კომბაინებსა და ბამბასახლებ მანქანებზე და შეასრულებენ სულ ცოტა ორი ცვლის ნორმას სანარდო გამომუშავების 20 პროცენტით, ხოლო ციმბირის, ურალის, ვოლგის ქვემოწელისა და შუაწელის რაიონებში და ყაზახეთის სსრ ყამირის რაიონებში — 40 პროცენტამდე, ხოლის აღებაზე ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეებსა და ამურის ოლქში — სანარდო გამომუშავების 40-მდე პროცენტით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცათ 1977 წლიდან ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით საჭიროებისამებრ ჩაებან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებსა და პურის მიმღებ საწარმოებში მუშაობისათვის ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების შრომისუნარიანი მოსახლეობა, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების უფროსკურსელი და უფროსკლასელი მოსწავლეები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ მოსავლის ასაღებად ჩამოსულ მუშაკთა მიღება, უსაფრთხო გადაყვანა და დაბინავება, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება, საზოგადოებრივი კვება, აგრეთვე ამ მუშაკთა რაციონალური გამოყენება შრომის დაცვის წესების გაუხერხელი შესრულების პირობებში.

დადგენილია, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც 1977 წელს ჩაებამენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებსა და პურისმიმღებ საწარმოებში მუშაობისათვის, შეენახებათ ძირითად სამუშაო ადგილები საშუალო თვიური გამომუშავების 50 პროცენტი. ამასთან დაკავშირებით მათ დღიური და ბინის ფული არ მიეცემათ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ მოუმატონ შრომის ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, რომლებიც დასაქმებული არიან საფაბრიკო და ხადეღე შაქრის ჭარხლის, აგრეთვე ჭარხლის სათესლეების მოსავლის აღებაზე, — გადდებული ფასდებების შესაბამისად, ამ დადგენილებით გათვალისწინებული პირობებით.

დატოვებულია წინა წლებში მოქმედი დებულება ხაადრეო მზრალის ხვნაზე დასაქმებული ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის მარცვლეულის შესასყიდ ფასად მიეიღვის შესახებ.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება მიეცათ ნება დაერთონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სახელმწიფო შესყიდვის ფასებით ნალდ ანგარიშზე მიჰყიდონ რუსეთის სფსრ და ყაზახეთის სსრ ყამირის რაიონებში მოსავლის ასაღებად ჩამოსული ტრაქტორისტ-მემანქანეებსა და ტრაქტორისტ-მემანქანეთა თანაშემწეებს მარცვლეული 10 ცენტნერამდე ოდენობით, ამ პირობით, თუ მათ შესრულებული ექნებათ ამ რაიონებში მოქმედი კომბაინით გამომუშავების სეზონური ნორმა.

სსრ კავშირის დამზადებს სამინისტროს ნება დაერთო მიიღოს 1977 წელს რუსეთის სფსრ და ყაზახეთის სსრ ყამირის რაიონებში მოსავლის ასაღებად ჩამოსული ტრაქტორისტ-მემანქანეებისაგან, ტრაქტორისტ-მემანქანეების თანაშემწეებისა და ავტომობილის მძღოლებისაგან მათ მიერ გამომუშავებული მარცვლეული სადგურისპირა პურის მიმღებ საწარმოებში — 14-14 ცენტნერამდე ოდენობით, ხოლო სხვა რაიონებში მოსავლის ასაღებად ჩასულთაგან — 4-4 ცენტნერი, თუ ისინი წარუდგენენ მეურნეობისაგან მიღებულ ცნობას მოსავლის აღებაზე გამომუშავებული მარცვლეულის რაოდენობის შესახებ, და მისცენ მათ იგივე რაოდენობის მარცვლეული მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

ტრაქტორისტ-მემანქანეებსა და სხვა მექანიზატორებს, რომლებიც 1977 წელს მოსავლის აღების სამუშაოებზე მიემგზავრებიან სხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აუნაზღაურონ გზის ფული დრიტითს სამუშაო ადგილამდე და უკან, აგრეთვე საშუალო გამომუშავება გზაში ყოფნის დროისათვის და საბჭოთა მეურნეობასა თუ კოლმეურნეობაში ჩასვლის პირველი სამი დღისათვის. აღნიშნულ მექანიზატორებს შრომა აუნაზღაურონ მოცემულ მეურნეობაში მოქმედი ნორმებისა თუ ფასდებების მიხედვით. მექანიზატორებს ენახებათ მათი საშუალო გამომუშავების 75 პროცენტი. ამასთან დაკავშირებით მიფლინებულ მექანიზატორებს დღიური და ბინის ფული არ მიეცემათ. კოლმეურნეობებდან მივლინებულ მექანიზატორებს დაერიცხებათ გამომუშავების სანთი სპეციალურით მუშაობის სტაჟისათვის იმ ოდენობით, რომელიც მათ დადგენილი აქვთ ძირითად სამუშაო ადგილზე.

ნებადართულია ასეთივე პირობების გამოყენება საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტრაქტორისტ-მემანქანეებისა და ავტომობილის მძღოლებისათვის, რომლებიც უხეში საკვების დასამზადებლად ეგზავნებიან ქვეყნის სხვა რაიონებში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ 1977 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის განსაკუთრებით დაძაბული პერიოდში ჩაებან სავრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტრაქტორები და ავტომანქანებიდ მძღოლთა შემადგენლობათურთ, აგრეთვე ტრაქტორისტ-მემანქანეები და სხვა მექანიზატორები და ავტომობილის მძღოლები აღნიშნული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად. აღნიშნულ მუშაკებს შრომა უნაზღაურდებათ 1976 წელს მოქმედი პირობებით.

მარცვლეულის მიღების ვადების შეცირების მიზნით რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს უფლება მიეცათ პურის შემოსვლის დაწყებიდან 1977 წლის 1 დეკემბრამდე აუნაზღაურონ შრომა ყამირი მიწების რაიონების პურის მიმღებ პუნქტებში მარცვლეულის დაგვირთვა-გადმოტვირთვაზე დასაქმებულ მტვირთავ მუშებს 50 პროცენტით მომატებული ფასდადებით, იმ პირობით, თუ ისინი ასრულებენ გამომუშავების დღიურ ნორმას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ მკაცრი კონტროლი დაუწესონ იმას, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებმა ხაკმარისად მოიმარაგონ საკუთარი მალალხარისხოვანი თესლი, შექმნან მარცვლეული და სამარცვლე-პარკოსანი კულტურების სადაზღვევო და გარდამავალი თესლის ფონდები, აგრეთვე შეასრულონ სახელმწიფო რესურსებისათვის განკუთვნილი ჯიშიანი თესლის დამზადების ვიგმა. გამოიყენონ მარცვლეული და სამარცვლე-პარკოსანი კულტურების დეფიციტური და პერსპექტიული ჯიშების და სიმინდის უბრალო მიბრიდების მთელი მოწეული მოსავალი მხოლოდ სელექციის მიზნით.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო საოლქო კომიტეტებს, რაიკომებს და სამრეწველო საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ ორგანიზაცია გაუწიონ იმ საქმეს, რომ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, პურისმიმღებ და მარცვალგადამამუშავებელ საწარმოებს შეფობის წესით დაეხმარონ 1977 წელს მოსავლის ასაღები ტექნიკის, ელევატორებისა და მარცვლეულის საწყობების შეკეთებაში, სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლის აღებისათვის სამზადისსა და ნოწყობაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილათ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის, სამინისტროსა და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ საბჭოებთან ერთად მარცვლეულის მოსავლის აღებისა და გადამუშავების [illegible] სოფლის მეურნეობის პროდუქტების, გადამამუშავებელი საწარმოების, [illegible] რაიონების ან რაიონების ჯგუფისათვის, აგრეთვე ავტომობილური რესპუბლიკების მხარეებისა და ოლქებისათვის შემოღონ გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები, რომლებიც ყოველი 10 დღის მუშაობის შედეგებისათვის გადაეცემათ ავტოკოლონებსა და სხვა სატრანსპორტო ქვეგანაყოფებს, აგრეთვე გაითვალისწინონ მუშაკთა მორალური და მატერიალური წახალისების სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ 1977 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მაღალ მაჩვენებლებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული აგრეთვე მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის დროული მომზადებისა და ორგანიზებული მოწყობის სხვა ღონისძიებანი.

• • •

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, ხელმძღვანელი საწარმოები და სატრანსპორტო ორგანიზაციები, ითვალისწინებენ რა ამოცანებს, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილში კოლმეურნეებისადმი, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისადმი, მექანიზატორების, მიცნიერების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკებისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა შრომელისადმი, და ჩაბმული არიან წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეალე ხუთწლედის დაევალებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყოველ ღონის იხმარენ, რათა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის წელს უზრუნველყონ აწყობილი მუშაობა მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების პერიოდში, აიღონ მოსავალი უდანაკარგოდ, დაამზადონ საჭირო რაოდენობის საკვები, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სხვა ხოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა.

ეძღვნება ოქტომბერს

ხელოვნების ზეიმი

როგორც ვიუწყებოდით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს დედაქალაქში სტუმრად ჩამოვიდნენ საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო ორკესტრები, ანსამბლები, ცალკეული შემსრულებლები.

11 მაისს, ხელოვნების ზეიმის პირველ დღეს თბილისელ მსმენელთა წინაშე ოფიცერთა სახლში ეოკალური მუსიკის კონცერტზე გამოვიდა თურქმენეთის მახტუმკულის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მაია შახბერდიევა და კონცერტმეისტერი ნ. კუშმიჩი.

მომღერალმა პირველ განყოფილებაში დიდი რუსი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის ნაწარმოებები შეასრულა: „მანა“, „ნუარაფერს მეტყვი, მეგობარო“, „ბოშური სიმღერა“, „პატიებას გთხოვ“, „სხეორიან მეჯლისზე“, „იადონი“, „პირქუშ დღეებში“; მეორე განყოფილებაში მ. შახბერდიევამ შეასრულა პროკოფიევის ეოკალური ციკლი „ხუთი მელოდია“ და ხალმამედოვის ეოკალური ციკლი „სიყვარული“: „გაზაფხული დადგება“, „იცი თუ არა“, და „ალმაფრენა“.

საქართველოს სახელმწიფო თეატრონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაშინ გამოვიდა საკავშირო რადიოს და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრი რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვლადიმერ ფედოსეევის დირიჟორობით და საკავშირო რადიოს და ტელევიზიის დიდი აკადემიური გუნდი, რომლის სახმატირო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი კლავდია ბეტიკა.

დიდი სიმფონიური ორკესტრისა და აკადემიური გუნდის პროგრამაშია ქართველი კომპოზიტორების — ო. თაქთაქიშვილის, ფ. თორაძის ნაწარმოებები. დღეს ორკესტრისა და გუნდის პროგრამა ასეთი იქნება: მოკარტის სიმფონია № 40, სიბელიუსის სვიტა, ბარტოკის მუსიკა სიმებიანი, დასარტყმელი ინსტრუმენტების ჩელესტასა და არფისათვის, სეირიდოვის მუსიკა პუშკინის მოთხრობა „ქარბუქისათვის“, ა. კასტალსკის ორატორია გუნდისათვის, სოლისტებისა და ორკესტრისათვის — „ომირთა ძმური გახსენება“. მონაწილეობენ საკავშირო რადიოს და ტელევიზიის სოლისტები ლ. ბელლობრაგინა (სოპრანო), საკავშირო კონკურსის ლაურეატი ე. ვლადიმეროვი (ბანი), გუნდის სოლისტები ლ. ლეშკოვა და ა. კოლესნიკოვი, ორლანის პარტიას შეასრულებს ნ. მალინა, მეორე განყოფილებაში შესრულდება კომპოზიტორ დ. თორაძის „ქართული ბანგები“.

ხელოვნების ზეიმი 24 მაისამდე გასტანს ოა ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმშიც გაიმართება.

ჯილდო გამარჯვებულთ

დღესასწაულის წინა დღეებში ვაჭრობის მუშაკებმა ერთხელ კიდევ შეაჯამეს განვლილი მუშაობის შედეგები. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის „ხურსათვაჭრობა“ გასულ 1976 წელს მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და ბალეტით სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მაია შახბერდიევა და კონცერტმეისტერი ნ. კუშმიჩი.

ორთვიანობის წინ ეს „ხურსათვაჭრობა“ დაჯილდოვდა ოთვლის ორჯონიკიძის „ხურსათვაჭრობა“ და ამ ხნის მანძილზე იგი ხუთჯერ დაჯილდოდა ვაჭრობის სამინისტროსა და პროფსაბჭოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით.

შარშან ხურსათვაჭრობამ გეგმა 106,2 პროცენტით შეასრულა. მოსახლეობას ზეგეგმით მიეყიდა 2 მილიონ 861,000 მანეთის პროდუქცია. სწორედ ამან განაპირობა გამარჯვება!

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ უშ. ბედიაშვილმა. ჯილდო გამარჯვებული კოლექტივის დირექტორს ნ. ნიკორიშვილს გადასცა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა მ. მეგრელიშვილმა.

ლ. გურული.

მეტი ხორცი — სამშობლოს

ვანი. (საკ. კორ.). სოფელ ტობანერის მეზოურებმა, კოლმეურნე შ. ულრილიძემ სახელმწიფოს მიჰყიდა 400 კილოგრამი ხორცი, ბზანის კოლმეურნეობის პენსიონერმა კოლმეურნემ ა. დვალიშვილმა — 300 კილოგრამი, სოფელ ამაღლების მკვიდრმა ს. შუბლაძემ — 600 კილოგრამი.

ზეინდრის მეცენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა ვ. ყუბანეიშვილმა, კ. ქართველიშვილმა, ა. არველაძემ, ს. ძაგნიძემ დიდი რაოდენობით მიჰყიდეს ხორცი სახელმწიფოს.

ბ. ნხაიძე.

ასპინძა. (საკ. კორ.). დაბა ასპინძის კოლმეურნეობის წევრმა ზ. ბერიძემ სახელმწიფოს მიჰყიდა 300 კილოგრამი საქონლის ხორცი, სოფელ სოროს კოლმეურნეობის წევრმა დ. ასპანიძემ — 200 კილოგრამი ღორის ხორცი, თმოგვის კოლმეურნეობის წევრმა თ. ზაზაძემ — 453 კილოგრამი ღორის ხორცი.

შ. მაისურაძე.

„საქართველოს აგიტატორი“ № 9

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალი იხსნება **მოწონავე** წერილით „საბჭოების არჩევნების შესახებ“. აქვე გამოქვეყნებულია სარედაქციო წერილი „უზრუნველყოთ სოფლად იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მაღალი დონე“.

ანშლაგით „ავამაღლოთ პოლიტიკური აგიტაციის როლი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში“ დაბეჭდილია ო. მეგრელიშვილის წერილი „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ძალა პარტიულ ხელმძღვანელობაში“.

განყოფილებაში „პოლიტიკური მუშაობის ენთუზიასტები“ გამოქვეყნებულია წერილები: ბ. იოსებიძის — საბჭოთა ადამიანზე ზრუნვით; საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ოქტომბრის იუბილეს შესახებ; თვალსაჩინო აგიტაციის დაუსწრებელი სემინარი.

რუბრიკით „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში“ დაბეჭდილია ს. ცოტნიაშვილის წერილი „მომსახურება: როგორ საგიტაციო მუშაობის შესაძლებლობის გამოყენების კოეფიციენტი დაბალია...“

განყოფილებაში: „გამოცდილება: შეიხწავლეთ, დანერგეთ“ გამოქვეყნებულია წერილები: ლ. კამლაძის — კოლეტივი — ადამიანთა აღზრდის, დაგალებათა შესრულების მძლავრი კერა; გ. ბასლეშვილი — კომკავშირული მეთოდოლაბეჭი — მოქმედებაში.

ჟურნალს აგრეთვე აქვს განყოფილებები: „მასალები სიტყვიერი გამოსვლისათვის“; „ლიტერატურა და ხელოვნება ხუთწლედის მხარდამხარ“; „საკუთრო სეზონიც მოვიდა..“; „თემა საუბრისათვის“; „ვის რა აინტერესებს..“.

13 მაისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური.

იატაკქვეშეთის და ფაშისტური რეპრესიების მძიმე პირობებში ესპანელ კომუნისტთა ათეული წლების გმირული ბრძოლის მანძილზე დ. იბარური ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყო, მეთაურობდა ფაშიზმის წინააღმდეგ. ესპანეთის თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ამ ბრძოლას.

დოლორეს იბარურის სამშობლოში გაცილებისას საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უსურვებენ ესპანელი ხალხის მამაც შვილს, ესპანელ კომუნისტთა აღიარებულ ხელმძღვანელს, ჩვენი ქვეყნის დიდ მეგობარს დიდ წარმატებებს ესპანეთის დემოკრატიული განახლებისათვის, ესპანელი და საბჭოთა კომუნისტების საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში.

ჟეროდრომზე დ. იბარური გაცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. ზაგლადინმა.

გაცილებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობაზე კანდიდატი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. ტ. პიმენოვი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარე, არმიის გენერალი პ. ი. ბატოვი, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. ფილიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური სამშობლოში გაემგზავრა

ტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. ზაგლადინმა.

გაცილებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობაზე კანდიდატი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. ტ. პიმენოვი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარე, არმიის გენერალი პ. ი. ბატოვი, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. ფილიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

ჟეროდრომზე მიმართა რა ამბ. დ. იბარურს ამბ. მ. ა. სუსლოვმა თქვა: დღეს ჩვენ ესპანეთში გაცილებთ ესპანეთის კომპარტიის თავმჯდომარეს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ჩვენი ქვეყნის დიდ მეგობარს, ამხანაგ დოლორეს იბარურს.

საბჭოთა ადამიანებს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ყველა დემოკრატსა და ანტიფაშისტს, დოლორეს იბარური მიაჩნიათ ფაშიზმის წინააღმდეგ, თავის ქვეყანაში თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ესპანელი ხალხის ბრძოლის სიმბოლოდ.

ბონჟბრიეია, რომ დღეს, როცა ჩვენს მეგობარს ევმშვიდობებით, რომელიც საბჭოთა კავშირში თითქმის 40 წელი იცხოვრა, და არა პარტო ეცხოვრა, არამედ ჩვენს ხალხთან ერთად იზიარებდა მის ჭირსა და ლხინს, სინანულის გრძნობას განვიცდით. ამასთან ერთად გვგახარებს ისიც, რომ დოლორეს იბარური ბრუნდება თავის სამშობლოში, რომ ეს დაბრუნება შესაძლებელი გახდა ესპანეთში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებების მეოხებით, რომლებიც გამოწვეულია უწინარეს ყოვლისა ფაშიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის ქვეყნის მუშათა ალსასა და მთელი დემოკრატიული ძალების ბრძოლის შედეგად.

ამ ბრძოლაში ამხანაგი დოლორეს იბარური მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ასრულებს, დ, ღრმად დარწმუნებული ვარ, კვლავაც შეასრულებს ესპანელ შრომელთა ინტერესებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის, ჩვენი პარტიების, საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ხალხთა მეგობრობის ინტერესებისათვის.

ძვირფასო დოლორეს იბარური, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს ამ კეთილშობილურ საქმიანობაში.

ნება მიბოძეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის ამხანაგ ლეონიდ ილიჩ ძე ბრეჟნევის სახელით ყოველივე საუკეთესო გისურვოთ.

საპასუხო სიტყვაში დოლორეს იბარურმა თქვა: ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენს ხალხს ერთი ანდაზა აქვს: „წასვლა — ცოტა სიკვდილსაც ნიშნავს“. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს ანდაზა ამ შემთხვევას არ უნდება. ჩემთვის ახლანდელი წასვლა ნიშნავს, რომ ძველ შემძლელია ჩაეკეთა ცოცხალ, ენერგიურ ბრძოლაში, რომელშიც წყდება ჩემი სამშობლოს ბედ-ღობალი. ესპანეთში მდგომარეობა დღითიდღე იცვლება. დღითიდღე სულ უფრო მწვავდება ბრძოლა დემოკრატიის ძალებსა და რეჟიმის შორის.

მტკიცედ მწამს, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია გაიმარჯვებს. ესპანეთის კომუნისტური პარტია ახლა დიდი გავლენით სარგებლობს ქვეყნის სხვადასხვა ოლქში, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პარტიის ეს გავლენა გადაიქცევა დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, რეჟიმის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლად, რეჟიმისა, რომელიც ჯერ კიდევ ებღაუჭება წარსულს.

პირობას გაძლევთ, საბჭოთა ამხანაგებო, რომ ჩვენი პარტია ო

ეძღვნება დიად ოქტომბერს

როგორც ჩვენი პრესა იუწყებოდა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა მოკავშირე რესპუბლიკების დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ექსპოზიციები.

თავის იუბილეს საბჭოთის მრავალეროვანი ძმური ოჯახი კომუნისტურ მშენებლობაში დამაჯერებელი წარმატებებით ეგებება. „სამოცი წელი,—თქვა სკკპ XXV ყრილობის ტრიბუნიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ეს ნაკლებია, ვიდრე ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ განვლო გზა, რომელიც საუკუნეებს უდრის“.

ხამი ათასამდე მოწინავე კოლექტივმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე თითქმის 50 ათასი ექსპონატი გამოუზავნა.

მოკავშირე რესპუბლიკების საიუბილეო გამოფენები დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეულ უდიდეს წარმატებებს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში.

საქართველო გამოფენაზე

პირველი დღეები ჩვენს პავილიონში



საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე საზეიმოდ გაიხსნა მოძმე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. გამოფენა ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. როგორც ერთგულ და განუყრელ მეგობრებს გადაუხვევათ ხელი ერთმანეთისათვის, ისე ჩამწკრივებულა ველოდით გვერდზე თხუთმეტი საბჭოთა პავილიონი.

საქართველოს სსრ პავილიონი. ჩვენი რესპუბლიკის საიუბილეო ექსპოზიცია ცისკარტყელის ფერებით არის გადაშლილი საბჭოთა კავშირის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონის დარბაზში. სადარბაზო კარებთან მნახველს მარადიული შრომის და დოვლათის სიმბოლო ხვდება — მშრომელი ქართველი კაცის გამრჯე ხელები — გ. ონიაურის სკულპტურა. პავილიონის შესასვლელთან ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პირველი მანქანა „კოლხეთი“ მოსჩანს, რომელსაც კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთაც.

შვიდიანი პირველ დარბაზში. კედელზე ოქროს ასოებით არის ამოკვეთილი ვ. ი. ლენინის სიტყვები: „ოქტომბრის რევოლუციამ ახალი ეპოქა გადაშალა მსოფლიო ისტორიაში“. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს მხატვარ გ. მახარაძის პანო, მიძღვნილი ლენინიანს უკვდავი თემისადმი. პანოს შუაში ლენინის ფიგურაა შემართული, მის ირგვლივ ნაჩვენებია გრანდიოზული გარდაქმნები, გამარჯვებები და მიღწევები, რომელიც მოიპოვა საბჭოთა ხალხმა 1917 წლიდან დღემდე. მნახველები დიდი ინტერესით ეცნობიან სტენდს — „ქართველი რევოლუციონერები — ლენინელები“, დიდი სამამულო ომის ამსახველ ფოტოებს, ჩვენს თანამემამულეებს — საბჭოთა კავშირის გმირებს. აქვეა ი. თოიძის ცნობილი პლაკატი „დედასამშობლო გვეძახის“.

ცალკე სტენდები აქვს გამოყოფილი აჭარის, ყაზახეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ოლქს. კარგად არის გამოყენებული თაღოვანი ჭერის სივრცე. ფერადი ფოტოები, დიდი გემოვნებით შესრულებული ლაფდები საშუალებას აძლევს გამოფენის სტუმრებს ნათლად გაერკვნენ ჩვენი რესპუბლიკის სუფთაქვა და მაჯისცემა, გაეცნონ მის ახალ-ახალ მიღწევებს.

მშვენიერია კედლის მთელ სიგრძეზე გადაჭიმული ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის მხატვარ ზ. წერეთლის და ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფის მიერ შესრულებული „საქართველოს ქედური დეკორატიული ოუკა“.

გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების უკვდავი ნაწარმოებების ჩვენებას. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი რესპუბლიკის თერმიტი გამომცემლობის აქტიური საქმიანობა წიგნის ბეჭდვის საქმეში. გამოვნებით არის გაფორმებული მშენებლობისა და მრეწველობის ამსახველი სტენდები. მნახველთათვის საინტერესოა შეიტყონ, რომ საკვირაოში, სუფსაში და ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებში აღმოჩენილია მაღალხარისხოვანი ნავთობის საბადოები. ამიტომ საქართველოში, სადაც ვაზოთხარეულია მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის და ელექტროტექნიკური მრეწველობა, იქმნება ნავთობის მრეწველობის ახალი დარგი.

დარბაზის კოლონიტს პარმნიოლად ერწყმის ჯ. თოფურიძის სკულპტურა „გამარჯვება“, რომლისთვისაც ავტორს სახელმწიფო პრემია მიენიჭა და გ. ონიაურის ორი სკულპტურული ნამუშევარი „რევოლუცია“ და „სიცოცხლის ხე“.

გამოფენაზე ნაჩვენებია ქუთაისის ავიჯის ფაბრიკა, თბილისის და ქუთაისის ბროლის ნაწარმი, გაერთიანება „სოლანი“ და ფაბრიკა „ოვერიას“ პროდუქცია. ფართოდ არის წარმოდგენილი მედიცინა ჩვენს რესპუბლიკაში. დამთავლიერებლები ყველა ხედავენ თავიანთ საყვარელ გმირებს, კოსტუმდია ქართული ფილმის სურათებიდან. აქვეა ჩვენი სახელოვანი მსახიობების, რეჟისორების, მხატვრებისა და მწერლების ფოტოები.

პირველი დარბაზიდან გამოფენის სტუმრები ბაღში შედიან. იგი დიდი გემოვნებით და მონდომებით არის გაკეთებული. ბაღის პატარა ტერიტორიაზე თითქოს მთელი საქართველო დაიტია. ოქროსფრად ელავს რვა მეტრი დიამეტრის ჭედური ვეებერგვინი ხეების ირგვლივ. ფანჯარტური და ტალავერი ჩრდილში გეპატიჟებათ. მოჩანს მამაპაპური ქვევრები. უკვე აყვავდა მანდარინი. ლიმონის, ფორთოხლის, ფეიხოას სურნელი ქართული ეარდების დამათრობელ ნექტარს უერთდება. ბაღი-ფანჩატური გააფორმეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სანერგე მეურნეობის ტრესტის მუშაკებმა შ. თაყაიშვილმა და მ. კახიძემ.

საქართველოს ექსპოზიციის გაფორმების მხატვრული მხარე მაღალ დონეზეა შესრულებული. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით თბილისის მთავარ მხატვარს ო. ითონიშვილს, გ. ჩიტიშვილს, ნ. ვადაჭკორიას, ნ. ქავთარაძეს, მ. ფირცხალაიშვილს, სამუშაოთა მწარმოებელს ჯ. შავგულიძეს, მოქანდაკეებს: ჯ. ბეკალავას, რ. გურულს, ნ. კვირკვიას, ი. რამიშვილს, რ. ხახას და ა. იამვილს. გამოფენის მთავარი მეთოდისტია დ. ჭანტურია.

სოფლის მეურნეობის დარბაზში კედელს ფარავს მხატვარ ნ. დემჩინსკის სპეციალურად გამოფენისათვის რელიეფურად გადაწყვეტილი პანო „შრომის ჰიმნი“.

სტენდებზე მოჩანს ვენახები. ვაზის ახალი ჯიშები, ვაზის ლერწმის დამყალებელი, საძირე ლერწმიდან კვირტის ამომჭრელი და სხვა მანქანები.

კარგად არის წარმოდგენილი რესპუბლიკის მეფუტკრეობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება. ცნობილი ქართული მთის რუხი დედა ფუტკარი მსოფლიოს 40 ქვეყანაში გაიქეთ. აქვეა ფუტკრების სკა და რუკა იმ ქვეყნების დასახელებით, სადაც იგზავნება ქართული ფუტკარი. მისასალმებელია ამავე გაერთიანების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ინ. რაზმაძის შრომა, რომელმაც თავისი ხელით გააწყო მეფუტკრეობის კუთხე და დიდად შეუწყო ხელი გამოფენაზე რესპუბლიკის მეფუტკრეობის წარმატებათა ჩვენებას.

ყურადღებას იპყრობს მეაბრეშუმეობის, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის ამსახველი სტენდები. მნახველები დიდი ინტერესით ეცნობიან ძმათა სფეროს ეკონომიკურ ეფექტურობას.

ეი თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის პროდუქცია—უნივერსალური სახეხი ჩარხი, რომელიც დეტალების საბოლოო დამუშავებისათვის გამოიყენება. აქვეა მილების საჭრელი დაზგის მოდელი. მას დიდი გამოყენება აქვს მეტალურგიულ ქარხნებში და მანქანათმშენებლობის ქარხანაში.

დამთავრდება თუ არა სტუმართა მოგზაურობა საქართველოს სსრ პავილიონში, დარბაზში კინოეკრანზე უნვენებენ ქართულ ფილმებს, ისმის ქართული მუსიკა და ქართული სიმღერები.

გამოფენის პირველი საპატიო სტუმრები იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის დიდი მეგობრები და უცვლელი შეფები—მოსკოვის ბაბუშკინის რაიონის მშრომელთა დელეგაცია და ტერეხინის რაიონის მშრომელები. გამოფენა დათვალიერეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორმა კ. მიხაილოვმა, მოძმე რესპუბლიკების პარტიულმა მუშაკებმა, დელეგაციებმა მოძმე რესპუბლიკებიდან და მოსკოვის მრავალრიცხოვანმა სტუმრებმა.

ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს საიუბილეო გამოფენის ხელმძღვანელს ი. საყვარელიძეს მოკლე ინტერვიუ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის:

გამოფენის პირველმა დღეებმა, — თქვა მან, — დაგვანახა რა დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები საქართველოს პავილიონის მიმართ, როგორ აინტერესებთ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრება, ბედი წარმატებები და გამოცდილება. ეს ძალიან ბევრს გვავალებს. ამიტომ მინდა რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვა: საუიუბილეო ეკსპოზიცია ძირითადად უნდა ასახავდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სახეს. სამწუხაროდ, მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა და უწყებებმა გულგრილობა გამოიჩინეს, ძალიან სუსტად არიან წარმოდგენილი გამოფენაზე მსუბუქი მრეწველობა, პარფიუმერია. დაბალი ხარისხისაა ფოტომასალა. სრულიად არ არის წარმოდგენილი ხორცისა და რძის ნაწარმი, ელექტროტექნიკური მრეწველობა. ეს მაშინ, როცა რესპუბლიკა ამაყობს სამაუწყებლო ელექტროტექნიკის დანადგარებით. ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ არც ერთი ხელსაწყო არ გამოგზავნა გამოფენისათვის. ბათუმის გემმშენებელმა ქარხანამ მეტად მდარე ხარისხის მაკეტები ჩამოიტანა.

გამოფენის საჯარო გახსნის დღეს მაღალი ტრიბუნიდან ახსენეს ჭიათურის მარგანეცი. და რა სამწუხაროა, რომ ჭიათურის მარგანტრესტს მაკეტიც კი არ გამოუგზავნია.

გამოფენა რვა თვეს იმუშავებს მოსკოვში. ამ მოკლე დროში რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნას ნაჩვენები ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი დღე, მისი მძლავრი ნაბიჯები, განსაკუთრებით ამ ბოლო წლების ძერები და გარდამქმნები.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მიენიჭა გამოფენის ჯილდოები

□

„სოლანის“ სახელი ზეცის გადის

□

ხინ სასმისებს, ჭედურ ნაწარმს „გაზაფხულს“, „ბერიკაობას“, რომლებიც რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის ხელოვნური მხატვრული რეწვისა და სუვენირების თბილისის საწარმოო გაერთიანება „სოლანის“ ხელოვნურმა ოსტატებმა დამზადეს, მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი, ნაწარმის ავტორები არიან ა. ჯაფარიძე და გ. ბერუჩაშვილი.

ხალხურ ოსტატთა ბევრი ნამუშევარი აღინიშნა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომებით, — უოხრა საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანების მთავარმა მხატვარმა რ. მელიქიძემ. — ეს უიმედოდ, დიდი წარმატებაა. ახლა ჩვენ საგულდაგულოდ ვემზადებით დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის. სახელოვანი თარიღის აღსანიშნავად უკვე დამზადებულია ჭედურობა ჰეროიკულ-რევოლუციურ თემაზე — „ვ. ი. ლენინის პორტრეტი“, „რევოლუციის ჯარისკაცები“, „შეხვედრა“ და სხვენი. ამ ზაფხულს ისინი გამოფენილი იქნება სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. „სოლანის“ მუშაკები ერთ გამოფენაშიც მიიღებენ მონაწილეობას. მათი ნამუშევრები—თავსაფრები, ხელჩანთები, ბევრი კერამიკული და ხის ნაკეთობა მიეძღვნება თემას — „ოლიმპიადა-80“.

„სოლანის“ მარკიანი პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. იგი წარმატებით იყო დემონსტრირებული პარიზის, მონრეალის, ბაზელის, ლაიფციგის, ტოკიოს, პლოვდივის საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე. ამ შემოდგომაზე იაპონის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ფირმა „სეიბუ“ მოაწყობს გაერთიანება „სოლანის“ ნაწარმის გამოფენა-გაყრობას. (საქინფორმი).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში! — ახე წარმოუდგება ექსპოზიციის მნახველს ჩვენი მზიური რესპუბლიკა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე, სადაც ახლახან ხაზეიმოდ გაიხსნა მოძმე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი. სურათებზე: ზემოთ — საქართველოს პავილიონის მთავარი შესასვლელი; შუაში — გამოფენაზე სხვა ექსპონატებთან ერთად წარმოდგენილია ქუთაისური ავეჯი; ქვემოთ — მთავარი დარბაზის ხაერთო ხედი. **გ. დადვაძის ფოტო.**

ლადო ასათიანის დაბადების 60 წლისთავი

ლექსის სიჭაბუკე

ლადო ასათიანი 60 წლისა გახდა. მისი ტოლ-მეგობრები ამას ვერ წარმოიდგენენ, რადგან მათ ლადო ისეთი ახსოვთ, როგორიც მაშინ იყო, როცა საუსებით ახალგაზრდამ სამუდამოდ დატოვა ეს ქვეყანა, დღენიადაგ სიცოცხლისა და პოეზიის სიყვარულით ანთებული, სწორედ ამ ასაკში მყოფი, როცა მთელი ქვეყნიერება მომხიბვლელად საინტერესოა და წარმტაცი ყოველი გონებაგახსნილი ახალგაზრდისათვის.

ერთი ჩვენი ცნობილი პოეტის სიტყვები ოდნავ შეცვლით რომ გავიმეოროთ და ვთქვათ: მას მართლაც „არ დასცალდა შთაგონების დავიკაცება“, მაგრამ, რაც მოასწრო, იმითაც „კარგა ვეარიანი ქართველი შემოქმედი დარჩება მარადის.

ხანმოკლე იყო ლადო ასათიანის სიცოცხლე, ხოლო მისი პოეტური ბიოგრაფია 5-6 წელსაც კი არ აღემატება.

იგი დაიბადა პედაგოგთა ოჯახში 1917 წლის 14 იანვარს, ქალაქ ქუთაისში. საშუალო სკოლის შემდეგ, 1934 წელს, მან დაამთავრა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და ხაირცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1934 წელსვე გადავიდა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1938 წელს დასრულა. ლადო სისტემატურად ესწრებოდა და ყურადღებით ისმენდა ლექციებს, ინსტიტუტში ლადო ყველას ნიჭიერ შემოქმედად მიაჩნდა.

ლადო ასათიანი დაანწილებული იყო ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ რედაქციის თანამშრომლებთან, რომლებიც დიდი ყურადღებით ეკიდოდნენ მას და სათანადო მზრუნველობას იჩენდნენ ახალგაზრდა, დამწყები პოეტის მიმართ.

გაზეთ „სტალინელის“ 1935 წლის 15 ოქტომბრის ნომერში პირველად დაიბეჭდა ლადოს ლექსი „ჩვენ ქალაქ მოვდიოთ“. შემდეგ ამავე გაზეთის რედაქციის თანამშრომელიც იყო და 1936-1937 წლების ჩვიდმეტიოდე ნომერში დაიბეჭდა ოცნე მეტი მისი ლექსი. ეს იყო: „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“, „ძველი და ახალი ქუთაისი“, „ქუნა ალმეტაში“, „შენ მარადის უკვდავი ხარ“, „მოსაგონარი“, „ტკბილია, როგორც“, „პუშკინი ჩემთან“, „ერთ საოჯახოს აფხაზეთში“, „ოცდაორკერი“, „ესპანელ მეგობრებს“, „ილიასადმი“, „ეპანის“, და სხვ. ყველაფერი ეს დაწერილებით აქვს მოთხრობილი გიორგი ჯიბლაძეს ნაშრომში — „ლადო ასათიანის დღეები და ლექსები“.

„პირველად გაზეთ „სტალინელის“ ფურცლებზე ვიგრძენი დაბეჭდილი სტრიქონების ეში, — წერდა ლადო ამ გაზეთის 1936 წლის 5 მაისის ნომერში. — „ჯანა უამესი ერუანტელის მომგვრელი არ არის, შენი ლექსები ეშნე უფრო ადრე რომ გამოგა? და მერე სად? ყველაფერთან შემორალურ ინდუსტრიულ ქალაქში! მე ეს სიხარული განვიცადე, მე ამ სიხარულს კიდევ განვიცდი, ეს სიყვარული და აღტაცება შენ მოიტანე ჩემთვის, ჩემი გაზეთო, და ამიტომ ეს სიტყვაც შენი დღეგრძელობისა და შენი გამარჯვებისა იყოს!“... და ამ პატარა წერილს ამთავრებს პატარა ლექსით „ზეკოთ ცა მზურავს კრიალა, ღია...“.

1936 წელს ამბოხებისაგან ციცხლწაკიდებული ესპანეთიდან ყოველდღიურად მოდიოდა ცხარე ბრძოლათა ცნობები.

ჩვენმაც აღწევდა „ბანდერა როხას“ ციცხლოვანი ხმები და ზარბაზნების გრიალ-გრიალი ასტურიაში, ესტრამადურაში, ტოლედოსა და ვალადალხარაში. მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები და მწერლები გაეშურნენ ბრძოლების შუაგულში.

ამ დროს დაწერა მან „ამალენი“ მე ლექსი ესპანეთზე და შორიდან გამოეხმაურა იმ დღეთა ამბებს.

იმავე წლებში ლადო მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მასობრივ საქმიანობაში — იყო წევრი იმ განყოფილების ფოლკლორული სექციისა, რომელიც დაარსდა 1936 წელს და მისი მუშაობის მიზანი ხალხური შემოქმედებითი ნიმუშების (ლექსების, ანდაზების, არაკების, ზღაპრების, გამოცანების) შეკრება იყო.

ლადო ლექსების კითხვით ხშირად მონაწილეობდა ლიტერატურულ საღამო-შეკრებებში.

1938 წლის ზაფხულში საცხოვრებლად და სამუშაოდ ლადო თბილისში გადავიდა.

ჟურნალ „ჩვენს თაობაში“ პირველად 1939 წლის სექტემბრის ნომრიდან დაიწყო ლადო ასათიანმა ლექსების ბეჭდვა. ამ ნომერში მოთავსებულია: „კოლმეურნეებთან ლხინში თქმული“, „ძველი მოლოკვის მოსაგონარი“ და „სამი უსათაურო“. მანამდეც და შემდეგაც იგი სისტემატურად ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს „სტალინელში“ (შემდეგ „ინდუსტრიული ქუთაისი“), „მშრომელ ქალში“, „მნათობში, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „პიონერში“, „მუშაში“, „ლიტერატურულ საქართველოში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

„ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში მუშაობისას (1938-1939) ლადოს კალამს ეკუთვნის ბევრი ლექსი, ნარკვევი, წერილი და ნახატ-სურათის წარწერა. ზოგიერთ მათგანს მოწერილი აქვს ფსეუდონიმები: ლ. ვარდოშვილი, ლ-ანი, ლ. მაღალაშვილი, ა-ნი, ლ. ასათიანი... ყველა ფსეუდონიმი ლადო ასათიანს ეკუთვნის. აქვეა ნოთავსებული ლადოს მიერ თარგმნილი ოვანეს თუმანიანის, ივანე კოპალას, ვლადიმერ მაიაკოვსკის და სხვათა ლექსები, ლეკციტკოს მოთხრობა „დათვი“. ამ წლებში დაწერა მან თორმეტამდე საბავშვო ლექსი, რომლებიც ყოველთვის თავსდება ბავშვთა წარმოუთვნა ზოგიერთ გამოცემაში. 1939 წლის ბოლოს თარგმნა დიდი უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოს ცნობილი პოემა „კატერინა“, რომელიც დაბეჭდა გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისსა“ და „ახალგაზრდა კომუნისტში“.

1939 წლის შემოდგომიდან ლადო რამდენიმე თვით რიგით ჯარისკაცად იყო საბჭოთა არმიაში. ისა და მირზა გელოვანი ერთად გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მაგრამ ავადმყოფობის გამო გთავისუფლებული ლადო მალე დაბრუნდა თბილისს.

როცა 1943 წლის 23 ივნისს თბილისში გარდაიცვალა ლადო ასათიანი და ბრიანსკის ფრონტზე მყოფმა მირზა გელოვანმა გაიგო ეს სამწუხარო ამბავი, ყირიმის ფრონტზე მომწერა: „ვიცი, როგორ დაგწყვეტდა გულს ჩვენი ლადოს გარდაცვალება. მინდა შენს მწუხარებას აქედან შევიერთო ჩემი ქვითინი და ერთად ვიგლოვოთ ჩვენი კარგი, საყვარელი ლადო. ტუუილად ამბობენ: სიკვდილია ყველაფრის დამოლოებაო. კაი ყმა — სიკვდილს შემდეგაც იცოცხლებს“.

ლადო ასათიანის შემოქმედებაში ყველაფერი თითქოს ერთი მთელი თემის მორჩილია: ეს არის სამშობლო-საქართველო და სახელოვანი წინაპრები, მაგრამ ეს თემა როდა მოწყვეტილი და ამოვარდნილი სხვა თემათა რაკრიდან. მის ლექსებში მეტნაკლები გამოხატულება ჰპოვა ყველაფერმა იმან, რაც კარგი და საუკეთესო ახასიათებს ჩვენი ქვეყნის დიად წარსულს და დღევანდელ წინსვლას, მისი ხალხის შეუპოვარ გმირულ ბრძოლასა და თავდადებულ შრომას ხვალინდელ დღისათვის. საქართველოს გმირული წარსული დაკავშირებული თანამედროვეობასთან. ბასიანისა და ასპინძის გმირები, სამასი არაგველი, ძველი ოქროს მაძიებლები და მამაცი ქართველი გლეხი ქალები თავიანთი გმირული სულით ეხმაურებიან თანამედროვეობას.

აქვეა: ლენინის ტომი და ქალაქი გორი, ცხრა ძმა ხერხეულიძე და ნორიოს მაღრეენები, ძველი ასპინძა და ახალი კოლხიდა, სამასი არაგველი და კალმახების ამღერება სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, თბილისი და სტალინგრადი, კრწანისის ყაყაჩოები და ჩვენი ქვეყნის გულჩიორა, მოჭიკჭიკე ბიონერები, რუსთაველი, პუშკინი და ილია, ვეფხი და ფიროსმანი, ქართული ენა, პირველი ქართველი მჭედლები და ეესპანელი მეამბოხენი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვინო სარაჯიშვილი, მანანა ორბელიანი და ვერიკო ანჯაფარიძე...

ლადომ თავისი ხანმოკლე, შეგნებული სიცოცხლის საგრძნობი ნაწილი თითქმის ქუთაისსა და თბილისში გაატარა, მაგრამ ბოლომდე შეინარჩუნა სოფლის განსაკუთრებული სუნთქვა. მას ხიბლავდა თავისებური რომანტიკით აღსავსე სოფლის ცხოვრება. როცა კითხულობთ მის „ცაგერის ბაზრობას“, ეცნობით ლეჩხუმური შემოდგომის სურათებს, ბარდნალს, ნამეჯიშვრის წისქილებს და ბევრ სხვას, ასე გგონიათ, თითქოს ნამდვილად ჩვენმა ახლადმოხსენებულ ბიბლიოფილ ფოლკლორული სილაღე და ოპტიმისტური ბუნება ახასიათებს. სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულითაა აღსავსე ისეთი სევდისმომგვრელ სათაურიანი ლექსი, როგორიც არის მისი „სასაფლაო“.

„...შთაგონებით გაბრუებული და მუდამ პოეტურ სიმღერას მოწადინებული მოგვეალნა იგი და ახალგაზრდა სიფიცხე შეიტანა ქართულ საბჭოთა პოეზიაში... თქმის სილაღემ და ომახიანმა შიძახილებმა შექმნეს ლადო ასათიანის თავისებური პოეტური ინტონაცია. ქართულ საბჭოთა პოეზიაში მისი ხმა დამოუკიდებელია და ყველასგან განსხვავებული“ — ასე წერდა პოეტი სიმონ ჩიქოვანი 1944 წელს ლადოს ლექსთა კრებულის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში.

რამდენი მშვენიერი გეგმა და სანუკვარი ოცნება დარჩა მას განუხორციელებელი. აპირებდა მოამავლისათვის დაეწერა ქართული ზღაპრები ლექსად, ანდა თანამედროვე პროზით „ოქროსქოჩრიანი ქალ-ვაჟი“, „ირმისა“, „ასფურიელა“), სწავლობდა გორგი ბრწყინვალის დროს — პოემის დასაწერად. განუყრელად თან დაატარებდა მისთვის ყველაზე საყვარელ, ჟუკოვსკის მიერ თარგმნილ „ოდისეას“ — იქნება, რადგან მანქანებით, ქართულად მის თარგმნას ოდესმე ხელი მოკიდოო. კარგად იცნობდა ჩვენს ხალხურ პოეზიას, მრავალი მისი ბრწყინვალე ნიმუში ზეპირად იცოდა და ხშირად ხმადაღლა ლიღინებდა და დუდუნებდა ხალხურ ლექსთა საუცხოო სტრიქონებს რუსთაველის პროსპექტზე დინჯად მიმომავალი, თარგმნილი ჰქონდა პუშკინის მოთხრობები „ქარბიქი“ და „სადგურის ზედამზედველი“, სურდა ქართულად გადმოეღო ერნესტ ჰემინგუეის ცნობილი მოთხრობა „ალმანჯაროს თოვლიანი ქედები“. წერდა პოემას „ირმების სიფრფოლეს“; განიზრახა შეიდგინა „საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის“ — დიკენსის მსგავსად, დაწერა ბალადა „გორის ციხე“, დაიწყო პოემა „ლხინი ალეკოსთან“ და კიდევ მრავალი რამ...

ძლიერ გაახარა პირველი წიგნის გამოსვლამ. შიგ 38 ლექსი იყო და ყდის მხატვრობა ახლა ჩვენს ცნობილ მწერალს ლადო ასათიანის ტოლ-მეგობარ გრიგოლ ალასანიას და მხატვარს — ლადო ივალიანს ეკუთვნოდა. მოიცისფრო ფონზე — თითქოს მოზარნიშვნელი ნეკლოოო

„ციცინათელას“ გოგონები

ეს გოგონები ორჯონიკიძის რაიონის დაბა ხარაგოულის კულტურის სახლთან არსებული ქალთა ქორეოგრაფიული ანსამბლის — „ციცინათელას“ მოცეკვავეები არიან — ხხვადასხვა პროფესიის და სპეციალობის ახალგაზრდები, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ თბილისში გამართულ მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე. ცენტრში: ანსამბლის ხელმძღვანელი, საკავშირო ფესტივალის ლაურეატი თამარ ოორდანიშვილი.

ხ. კილაძის ფოტო.

უკვე რამდენიმე თვეა ყაზბეგელები შეშფოთებით შესცქერიან თანგეანთა კუთხის მწვანეს — მყინვარწვერს. ვინ მოთვლის რამდენ ბოიტსა თუ მწვრილს ხოტბა შეუხსამს კავკასიონის ქედის ამ მარგალიტისათვის. და აი ახლა კი მყინვარწვერის ძირს გაშენებულ სოფლებსა თუ ინაონულ ცენტრში ხმა ადარხა — მყინვარებმა დაიწიეს, თერგის ხეობაში მათი ჩამოზვავების საშიშროება შეიქმნაო.

რედაქციაშიც რამდენიმე წერილი მოვიდა, რომელთა ავტორები გვიზარებენ თავიანთ შეშფოთებას და გვთხოვენ მეცნიერის განმარტებას, თუ სინამდვილეში რა ხდება მარადიული ყინულეთის სამფლობელოში, რა მოვლენები ვითარდება მყინვარებში.

განმარტებისათვის მივმართეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს თეიმურაზ დავითაიას, რომლის სამეცნიერო შრომებმა კლიმატის ბუნებრივი შეცვლისა და ადამიანის ჩარევით მისი გარდაქმნის საკითხებზე მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებრიობის უურადღება დაიმსახურა.

აკადემიკოსმა თ. დავითაიამ, როცა „კომუნისტის“ მკითხველის წერილებს გაეცნო, აი რა გვითხრა:

მკითხველის თხოვნით

რა ხდება მყინვარწვერზე?

ჩვენი ინტერვიუ

— რასაკვირველია, ყველა ეს ხმა უსაფუძვლო ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ ის კი სწორია, რომ თერგის ხეობაში გამდნარი მყინვარისა და თოვლის ქვა-ღორღნარეი მასების ჩამოზვავების საშიშროება არსებობს, მაგრამ კატასტროფის შესაძლებლობა ნაკლებია.

და აი რატომ.

ამ უკანასკნელ ათეულ წლებში კავკასიონის მყინვარები, თითქმის ყველა, უკან იხევს და მათი მოცულობაც მცირდება. სამაგიეროდ, მყინვარების რაოდენობა ვაზიარდა. ამის მიზეზი ის, რომ ხდება მყინვარების დნობა, რაც იწვევს დიდი მყინვარების რღვევას, მათს დანაწევრებას.

მაგრამ კავკასიონის მყინვარეს შორის არის ისეთებიც, რომლებიც მოქმედთა ჯგუფს მიეკუთვნება. გარკვეულ პერიოდში ისინი წინ მოიწევენ, შემდგომ წლებში ისევ უკან იხევენ. ხდება მათი პულსაცია. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება მყინვარწვერი და გადმოფრენილი მყინვარები — კოლკა, დევდორაკი, აბანო, გერგეტი, სუატისი და სხვ. უკანასკნელ ათი-თოთხმეტი წლის მანძილზე დევდორაკმა, მაგალითად, საერთო ანგარიშში 55 მეტრით წინ წამოიწია, აბანომ — 20 მეტრით, გერგეტმა და სუატისმა — 40 მეტრით და ა. შ.

მათ შორის განსაკუთრებით სახიფათოა დევდორაკის მყინვარი, **რომელიც** ციცაბო კლდეებზე ჩანჩქერივით არის გადმოვარდნილი და დროთა განმავლობაში მდინარე თერგის ხეობაში მრავალგზის ჩამოქცეულა. კერძოდ, წარსულში ასეთი ჩამოზვავება მოხდარა 1776, 1785, 1808, 1827, 1832 წლებში. ამ მოვლენას თან ახლდა დიდი კატასტროფული შედეგები. 1842 და 1855 წლებში მყინვარი სულ ახლოს მოვიდა ციცაბო კლდის პირას კრიტიკულ ნიშნულამდე, **მაგრამ არ ჩამოზვავებულა.**

მაშასადამე, 1832 წლის ჩამოზვავების შემდეგ მთის სტიქიის **ეს ხაშიში** მოვლენა არ გამეორებულა **და** ვფიქრობთ, არც განმეორდება, **რადგანაც** მოქმედ მყინვარებზე ამჟამად დიდი სამეცნიერო დაკვირვებანი მიმდინარეობს. ჩვენში შექმნილია სახელწოდება კომისია, რომლის შემადგენლობაში მრავალი ორგანიზაციის სპეციალისტები არიან გაერთიანებულნი. **ერთი სიტყვით, თუ ხაშიში მდგომარეობა შეიქმნა, განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. მოულოდნელობა ამ შემთხვევაში გამორიცხულია, კატასტროფა — შეუძლებელი.**

ხიფათის თავიდან აცილების მიზნით შეიძლება მყინვარის ხელოვნური დნობა გამოვიწვიოთ, რისთვისაც მისი ზედაპირი ქვარტლით ან ქვანახშირის ნამწვით უნდა დაიფაროს. ასეთ დროს ხდება მყინვარის გამუქება, მცირდება მზის რადიაციის არეკვლა, სამაგიეროდ, იზრდება სითბოს შთანთქმის უნარი. ეს კი მყინვარის ინტენსიურ დნობას იწვევს და შესაძლებელი იქნება ამ გამდნარი წყლის დაშვება. შეიძლება მოხდეს ავრეთვე კლდენენის სახით ჩამოღვრილი მყინვარის ნაწილის აფეთქება. ამით ის დანაწევრდება და თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ დაბლა ჩამოვა, რაც ნაკლებად საზიფათოა. კიდევ სხვა ღონისძიებებიც შეიძლება განხორციელდეს. ასეთი მეთოდით მყინვარის სტიქიასთან შებრძოლება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განხორციელებულა.

— თქვენ ხაუბრის დასაწყისში ალნიშნეთ, რომ ამ უკანასკნელ ხანს კავკასიონის მყინვარებმა თანდათანობით უკან დახევა იწყეს, ამას რითა ხსნით?

— კავკასიონის მყინვარებს, ასე ვთქვათ, „საქციელი“ გამოხატავს საერთო კანონზომიერებას, რომელიც ამჟამად მთელ მსოფლიოში მამდინარეობს. თითქმის ყველა მყინვარი, იქნება ის დედამიწის პოლუსებთან ახლოს, თუ დაბალი განედების მთებში, შედარებით დაპატარავდა. ამის მიზეზი ჩვენს პლანეტაზე კლიმატის საერთო დათბობაა, რაც განსაკუთრებით ინტენსიურად უკანასკნელ ასწლეულში შეიმჩნევა. ასეთი დათბობა არსებითად მატერიის აწევას. ჰაერის გამტვერიანების მოქმედება უფრო რთულია. ჰაერის შემადგენლობაში სხვადასხვა მინარევების მატერიამ შეიძლება ხელი შეუწყოს ტემპერატურის აწევას. მას შემდეგ, რაც იგი გარკვეულ ზღვარს მაადწევს, თავს იჩენს მზის რადიაციის ეკრანირება, რაც იცვლის შეუწყობს ხელს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში გამტვერიანებული ატმოსფერო ერთგვარ ეკრანის როლს ასრულებს, იგი ამცირებს მზის რადიაციას და ამით დედამიწაზე სითბო ნაკლებად მოდის.

— თუ შეიძლება განსაზღვროს ადამიანის როლი კლიმატის შეცვლაში?

— საკითხის სირთულის გამო, ამჟამად ზუსტი პასუხი არ შემიძლია მოგახსენოთ. ერთი რამ კი შესაძლებელია ითქვას, რომ მყინვარების დამტვერიანებამ შეიძლება არსებითად ხელი შეუწყოს დნობის დაჩქარებას, რაც მზის რადიაციის შთანთქმის ეფექტით არის გამოწვეული. ეს კანონზომიერება პირველად ჩვენთან, საქართველოში იქნა გამოვლენილი. დადგენილია, რომ კლიმატის ცვალებადობა მთისწინა და მაღალ მთიანეთში გარკვეულ პერიოდში არ შეიძლება ერთნაირი იყოს. ზოგჯერ კი საწინააღმდეგოც არის. მაგალითად, დაკვირვებების შედეგად უკანასკნელ საუკუნეში თბილისში მცირედ დათბა, მაშინ, როდესაც კავკასიონის მთავარი ქედის მყინვარების ზონაში აცივება აღინიშნა. მიუხედავად ამისა, რომ მყინვარები ნორმალური ან გადიდებული ოდენობით ატმოსფეროდან იღებენ მასაზრდოებელ ნალექებს, ისინი მაინც მცირდებიან და უკან იხევენ. ამას ითი ეხსნით, რომ მყინვარების ზედაპირი დამტვერიანების შედეგად სულ უფრო მეტ მზის რადიაციას შთანთქავს. მტვერი კი მყინვარებზე ატმოსფეროს გაბინძურების შედეგად ილექება. მაშასადამე, მყინვარების რადიაციით გათბობის ეფექტი მატია, ვიდრე ჰაერის გაცივებისა, რომელიც ბუნებრივი პირობების მოქმედებით ხდება.

— გთხოვთ გვიპასუხოთ ბოლო კითხვაზე: როგორი იქნება შემდგომში კლიმატის მდგომარეობა?

— მომდევნო უახლოეს ათწლეულებში, როგორც ჩანს, მოსალოდნელია საერთო დათბობის ტენდენციის გაგრძელება. ამ ფონზე შესაძლებელია მრავალწლიანი მონაცემების საშუალო სიდიდეებში ცვლილებებიც მოხდეს. რაც შეეხება ცალკეული წლების ამინდს, ცვლილებანი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანიც იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო დათბობის ფონზე შეიძლება ცალკეული ზამთარი თბილი კი არ იყოს, არამედ ძალიან ცივი, ხოლო აცივების პერიოდში პირიქით, ძალიან თბილა.

საუბარი ჩაიწერა

ლარისა ხუბულურმა.

ფელეტონი

ვინც ეროვიტპანს ასეთ სიას...

უთენია თავს დამეხსა მეზობელი აგრაფინა,
— აბა ჩქარა! — მომაძახა (ლოგინიდან ამაფრინა),
ბარდლა მოკვდა, შოთას ქვისლი, ყველანი ვდებთ თითო ოუმანს!
ხითთ ხელში შემომყურებს, არც კითხულობს ფული თუ მაქვს.
გავიკვირვე: შოთას ვიცნობ?
— იცნობ, მერვე სართულიდან...
რა ვქნათ, უნდა დავუბმართ ადათ-წესით ქართულთან!
მერე პილომ მომაკითხა და ამბავი კარგი გვაცნო:
დედამთილის რძლის ნათლია გათხოვია, თურმე, ცაცას,
მეზობლები მისალანად ოც-ოც მანეთს ვაგროვებთო,
ფული ახლა თუ არა გაქვთ, ქორწილამდე გადროვებთო.
გავბრაზდი და მივახალე: ჩვენს კარებთან რატომ შესდექ,
როცა ცაცა ცხოვრობს ჩვენგან ექვსი სადარბაზოს შემდეგ?
გოგის ცოლის ბიძის — მიხოს შარშან იყო გასვენება,
(ჯერ ქელეხთ არ მინახავს ჯიბის ასე გასქელება),
საგანგებოდ შედგენილი მომიტანეს ბრძელი სია,
აბა, თავი არ მოგვჭრაო, — ხუთი კაცი დამეხია.
თუმნიანი გავიმეტე (არვის ეყო საცინლადა)...
მიხოს ვაუმა ერთ კვირაში შეიძინა თეთრი „ლადა“,
დღეობისთვის ემზადება ანელიკას რძლის ბებია,
ხარჯებს ჩვენვე დავფარავთო, მეზობლები მპირდებიან...
გავიგე, რომ პავლეს ძმისწულს ქორწილი აქვს შაბათ-კვირას,
წინასწარ ეგრძნობ მის სიხარულად უნდა დავდო ბინის ქირა...
ყველას მკვდარი და ცოცხალი ფულით როგორ დავფასო?
მეზობლებს კი რა გამოლევს, ხასლს აქვს შვიდი სადარბაზო.
ყვავი-ჩხიკვის მამდას რომ დავეხმარო, რა წესია?
აწი კარებს არ გავუღებ, ვინც მომიტანს ასეთ სიას!

ვანო ცინცაძე.

მოსკოვურ ცათამგჯენებზე

ზუსტაფონი. (საკ. კორ.). მოსკოვში, ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობაზე კომჯავშირული საგზურებით შრომობენ ქართველი ახალგაზრდები. ამ სახელოვან ჭაბუკებს შორის არიან ზესტაფონელი როლანდ ქათამაძე და დავით ჩხეიძე.

— ოღნება ამიხდა, — „ვითხრა რ. ქათამაძემ. — საშუალება მომეცა ჩემი წელი შეგიტანო მსოფლიოს მასშტაბით ცნობილ მშენებლობაში, „ლუჟნიკის“ დიდი ლენინის ენას, ქალაქის დედაქალაქში დაუსწრებლად ვიღებ უმაღლეს განათლებას.

ქართველი მშენებლები მოსკოვის ცათამგჯენებზე, 32-სართულიანი სახლების მშენებლობაზე ვმუშაობთ. 10 ათასი კილომეტრის განკუთვნილი ხუთი ასეთი სახლი 1979 წლისათვის უნდა გადავიცეთ საბჭოსპორტაციოდ. კომპლექსში შედის აერეული „ლუჟნიკი“ — საყოფაცხოვრებო დანიშნულების მრავალი ობიექტი.

202-ე საშენებლო ტრესტში, „ლენა“ ქართველი მშენებელი დიდი პატივისცემით სარგებლობს ოსტატობასაც გიჩვენებენ.

ო. ნიკაბაძე.

ა. კანდელაკის ნახატი.

ბოქაულში ხუთშაბათ

თბილისელთა გამარჯვება

საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში დამთავრდა რესპუბლიკის მორიგი ჩემპიონატი წყალში ხტომაში. გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა.

პირად შეჯიბრებაში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა თბილისელი მოსწავლე ლიანა ციოტაძე. იგი უძლიერესი იყო როგორც 3-მეტრიანი ტრამპლინიდან, ისე კოშკურიდან ხტომაში.

ვაჟებში 3-მეტრიან ტრამპლინზე ყველას ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. სოლდატოვმა აჯობა, ხოლო კოშკურზე — თბილისელმა მოსწავლემ ი. ელბაქიძემ.

საინტერესოა, რომ განვლილ შეჯიბრებაში სწორედ ამ ორმა სპორტსმენმა გვიჩვენა სპორტის ოსტატის შედეგები.

ნ. ხოუტარია.

ხელგუთი

ჩემპიონია ცსკა

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის ბოლოსწინა დღე იყო.

თე პირველი შეხვედრის შედეგს ზაპოროჟიეს იდეუსტრიული ინსტიტუტის გუნდსა და კუბასის „ჩრასნიტასს“ შორის პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა (მატჩი მოიგეს ზაპოროჟიელებმა ანგარიშით 29:22), მომდევნო ორ შეხვედრაში „ოქროსფეროს“ მებრძოლნი ასპარეზობდნენ.

მოსკოვის „კუნცევო“ — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი (ხადა, სტუდენტთა გუნდს, რომელიც ლიდერს (ცსკა-ს 3 ქულით ჩამორჩებოდა, მხოლოდ გამარჯვება ეძლეოდა ხელს, ამასთან... არმიელთა დამარცხებაზეც ოცნებობდა „ბურევესტნიკთან“ შეხვედრაში. მაგრამ მაინ ვერ შეასრულა „პრაგრამა-მინიმუმიც“ — წაგო „კუნცევოსთან“ ანგარიშით 24:28 (13:17).

რაც შეეხება ცსკა-სა და თბილისის „ბურევესტნიკის“. მატჩს, არმიელებმა, რომელიც ამ ტურნირზე უდავოდ ყველაზე სტაბილური, ტექნიკური, მებრძოლნი არიან, შეძლეს (უკვე ჩემპიონის რანგში) დაემარცხებინათ მეტოქე — 32:24 (16:10) და ოქროს მედლები მოიპოვეს.

მორე ადგილზე გამოვიდა მაი, მესამეზე — „ბურევესტნიკი“, მეოთხეზე — „კუნცევო“, მეხუთეზე — ხიი, მეექვსეზე — „გრანტასი“.

დღეს სპორტის სასახლის სარბიელზე გაიმართება ჩემპიონატის სამი უკანასკნელი მატჩი („ბურევესტნიკი“ ხვდება „გრანიტასს“), რომელთა შედეგებს უკვე ალარ შეუძლიათ გავლენა იქონიონ ადგილების საბოლოო განაწილებაზე.

სურათზე: ცსკა-ს გუნდი — პირველ რიგში — ექიმი ე. კოროლიუკი, ნ. კოსიკი, ს. ჩიკოლავი, ნ. ტომინი, ი. კოდიავეი; მეორე რიგში — ვ. ჩერნიავეი, ა. ოგანეზოვი, მწვრთნელი ი. სოლოვკო, ნ. პლუიკო, ა. დრაჩეი; მესამე რიგში — ს. ტომინი, ადმინისტრატორი ვ. კარდივა, ვ. კოლოტოვი, ა. უუკი, ვ. კულეევ, მ. გულბისი, ე. ჩერნიშოვი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ეს საინტერესოა!

საქართველოს ქალაქებიდან და სოფლების მომავალ ტერიტორიებიდან

21-ე საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს ქალაქებში იცხოვრებს დაახლოებით ა,ზ-4 მილიონი კაცი, ანუ რესპუბლიკის იმ პერიოდის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 60-65 პროცენტი. ახეთი დასკვნა გამოიტანეს თვალსაჩინო ეართველმა დემოგრაფმა მეცნიერებმა.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის ინტენსიური ზრდა იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლიდან — 1921 წლიდან. გამოანგარიშებულია, რომ განვლილ პერიოდში ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი ერთიანუთად და მეტად გაიზარდა. ეს იმით აიხსნება, რომ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში — შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში— შეიქმნა სამრეწველო საწარმოთა მძლავრი მრავალდარგოვანი კომპლექსი.

ამჟამად საქართველოში არის 51 ქალაქი და 57 ქალაქის ტიპის დაბა, 4640-ზე მეტი სოფელი. მარტო საქართველოს დედაქალაქ თბილისში ახლა მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს, ხოლო ქუთაისში, რუსთავში, ბათუმსა და სოხუმში — 180-დან 200-250 ათასი კაცი. 50-100 ათასამდე გაიზარდა უკანასკნელ წლებში გორის, ფოთის, ზუგდიდის, ცხინვალის, ზესტაფონის, მახარაძის, სამტრედიის, თელავის, რუსუელიკის ბევრი სხვა ქალაქის მოსახლეობა.

21-ე საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში სოფლების რიცხვი დაახლოებით 35 პროცენტით შემცირდება ხასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, ხელის შრომის მანქანებით შეცვლის გზით, ხოლო დარჩენილი სოფლების მცხოვრებთა საშუალო რაოდენობა 500-დან ათას კაცამდე გაიზრდება. უკვე ხორციელდება ქმედითი ღონისძიებები პერსპექტიული სოფლების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის, ისტორიულად შექმნილი დასახლებული პუნქტების შენარჩუნებისათვის, მთელი სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებისათვის.

(საქინფორმი).

კინოაფიშა

ფურისგების დღე

ფილმი, რომელიც ლიტველმა კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს, სათავგადასავლო ხასიათისაა. მოქმედება ბატონყმობის გაუქმების წინა ხანებში ხდება.

ერთხელ, ნემანის ნაპირზე შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ოთხნი: დოქტორი ლაურნასი, მისი ბიძაშვილი, რიცხვურგენის მემამულე ზავიშა, ყაჩაღთა მეთაური მიკოლასი და ჩამოსული ინუენერი.

სტუდენტობის დროს სამნი ლაურნასი, ზავიშა და მიკოლასი ჩაგრულთათვის მებრძოლი საიდუმლო ორგანიზაციის წევრები იყვნენ, მაგრამ ზავიშა მოღალატე გამოდგა და მის გამო ორივე მეგობარმა კატორღაში ამოყო თავი. იქ მათ ფიცი დადეს, რომ განთავისუფლების შემდეგ გაუსწორდებოდნენ მოღალატეს...

სცენარი ფილმისთვის დაწერა პ. მორკუსმა. რეჟისორები არიან ხ. მოტიეუნასი და ა. პუეა, ოპერატორი — რ. ოოდვალკასი. მთავარ როლებში ვიხილავთ თ. მელდერისს, პ. პიაულოკას, ე. პლეშკატეს. და ა. შაურნას (ლიტვის კინოსტუდია).

ქველი დროის პოშეხონი

ახალგაზრდა კინომსახიობებმა ნატალია ბონდარჩუკმა, ნიკოლოზ ბურლიაევმა და ახალგაზრდა კინორეჟისორმა იგორ ხუციევმა საკუთარი სცენარით ეკრანზე გადაიტანეს სალტიკოვ-შჩედრინის რომანის „ქველი დროის პოშეხონის“ სამი ფრაგმენტი. ეს ფილმი ახალგაზრდა ხელოვანთა დებიუტია. აღსანიშნავია, რომ ფილმში მთავარ როლებს ავტორები ასრულებენ. დადგმის მხატვრული ხელმძღვანელია ლევ არნშტამი, ოპერატორები — ევგენი გულსონსკი და ვიქტორ ეპშტეინი. ავტორის ტექსტს კითხულობს ცნობილი კინომსახიობი და რეჟისორი სერგი ბონდარჩუკი. (კინოსტუდია „მოსფილმი“).

ოლიმპიადა

15 მაისი

ტელევიზია — II პროგრამით

10.00 — „ახალი ამბები“ (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — „ძაღვეაია“ (ფერადი, მოსკოვიდან), 11.00 — „შეგვიყვარდეთ რუსული ენა“, 11.45 — ბავშვებისათვის ფერადი მხატვრული ფილმი „გეგმები მიფოიხარენ“, 13.00 — „მუსიკალური კინოსკი“ (ფერადი, მოსკოვიდან), 13.35 — „კინოაფიშა“, 14.00 — „საჭადრაკო სკოლა“, 14.20 — ცეროდეასა ეკრანი (ქართულ ენაზე), 14.40 — „კინოს მოყვარულთათვის“, 15.30 — „ძსოფლიოა ქალაქნეზეგმები“ (ფერადი), 16.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „წყალი მაცოცხლებელი“ (ქართულ ენაზე), 16.10 — ახალგაზრდობისათვის — „დროის კარნახით“, 17.00 — ხარისხი, ხარისხი, ხარისხი — საატელევიზიო პროგრამა, 17.50 — „საერთაშორისო პანორამა“ (ფერადი, მოსკოვიდან), 18.20 — „ეურორტებს — მზრუნველი ხელი“, 19.50 — „კონცერტი, 19.15 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (ფერადი, მოსკოვიდან), 20.15 — „მოამბე“ — „საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „კინონარკვევი, 20.45 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრეშია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „კინოს სამყაროში“.

მეორე პროგრამით

17.05 — ფერადი დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლისათვის ბრძოლა“, 18.05 — ბავშვებისათვის — ფერადი მხატვრული ფილმი „ასი დღე ბავშვობის შემდეგ“, 19.35 — „კონცერტი, 20.15 — კინონარკვევი, 20.30 — ფერადი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დრო არ ითმენს“ (II სერია).

16 მაისი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული სორკესტრი პიესებს, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მამოსიღება (მოსკოვიდან), 08.45 — ქართული ეალური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლეზე (მოსკოვიდან), 11.45 — ტყიბულელი ფეშაგტეები ხუთწლედს, 12.15 — ბ. კილაძე — „ქართული სუიტა“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ა. საჯაიას ლექსები, 12.30 — მღერის ახსამბლი „ეგალა“, 12.45 — ჯ. ვენიავსკი — „ბრწყინვალე პოლონეზი“, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ლ. ზიკინასა და დ. გნატიუკის კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ — ლ. ქიაჩელი — „ძაკი ალბა“. მოთხრობა, 14.20 — ა. ხაჩატურიანი — „საკიოლინო კონცერტი“, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „იყო ერთი ბიჭი“, 18.10 — ქართული კამერული მუსიკა, 18.45 — საკუტრადო კონცერტი, 19.00 — მოსავლის სასასურეში — გამართული ტექნიკა, 19.15 — მღერის ახსამბლი „ერორდელა“, 20.30 — „ოტარი მეგიროფონთან“ — მეტეხის ალაგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდიის სპექტაკლი „ქართული ნოველების საღამო“, 23.30 — პ. ალბერანაშვილის კონცერტი.

15 მაისი

ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლონ კიხოტი (დღისით), ტრუბადური (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოშვილი ძალლი (დღისით), ფირუზმანი (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბურატინო (დღისით), ქალაქში დადის მომბაკალი (საღამოს); მინაგაურების სახელმწიფო — ბაბარჯვეების ღიმილი; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — მოსაწყენი დღეების ქრონიკა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის პრ., 2)

ფეხბურთი

18 მაისი

შესარჩევი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე

სსრ კავშირი (ნაკრები) — უნგრეთი (ნაკრები).

დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე

ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 16 და 17 მაისს 10 საათიდან, საერთო გაყიდვა — 18 მაისს სტადიონის სალარეებში 10 საათიდან.

ფეხბურთი

მესამე მატჩი

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა იუგოსლავიაში ტურნეს უკანასკნელი, მესამე მატჩი გამართა, ამჯერად ქალაქ მარიბორში ადგილობრივ კლუბთან. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს დინამოელებმა. ბურთები გაიტანეს ვ. მაჩაიძემ (მე-15 წუთზე) და ჩელებაძემ (75-ე წუთზე).

„სპორტლოტო“

შაბათის სპორტლოტოს (36-დან 5) მე-20 ტირაჟის შედეგები.

პირველი ტირაჟი: 14 (ნიბოსნობა ბაიდარებთა და კანოეთა), 19 (სათხილამურო რბოლა), 24 (ხელბურთი), 13 (აკადემიური ნიბოსნობა), 29 (ტყვეთა სროლა).

მეორე ტირაჟი: 35 (ბალასის ჭოკი), 22 (ცურვა), 28 (შვეულ-დოსნობა), 26 (სამბო), 13 (აკადემიური ნიბოსნობა).

მოგილოცავთ!

ჩოგბურთი

მეექვსე ტრაღიციული

თბილისში, ფიზკულტურის ინსტიტუტის ჩოგბურთის კორტებზე დაეთაკვრა ინსტიტუტის პოფილი სტუდენტის, საბჭოთა კავშირის მბრძოლ ვასტანგ ლეკვაკას მე-6 ტრადიციული მემორიალი ჩოგბურთში.

ასპარეზობაში, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა, მონაწილეობდა ვარშავის ფიზიკურ-ფიზიკის აკადემიის, მოსკოვის, ერევნის, ტაშკენტის, ლვოვის, თბილისის ფიზიკულტურის ინსტიტუტების, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ 48 უძლიერესი ჩოგბურთელი (სულ 32 ვაჟი და 16 ქალი).

ვაჟთა ერთეულების ფინალში თბილისელმა ვ. ბაქმაძემ დაამარცხა პოლონელი მ. მარციენკოვსკი. ასევე ჩვენი ჩოგბურთელის გამარჯვებით დამთავრდა ქალთა ერთეულების ფინალი, რომელშიც მ. ელერდაშვილმა სძლია პოლონელ პ. სლეციისკას.

ვაჟთა წყვილებში ერთმანეთს შეხვდნენ ვ. ბაქმაძე — ვ. ოსიპოვი (თბილისი) და ლ. აბოიანი — რ. კარაპეტიანი (ერევანი). გაიმარჯვეს ერევნელებმა. ქალთა შორის უძლიერესნი იყვნენ პ. სლეციისკა და პ. პერკო (პოლონეთი). შერეულ წყვილებში — ვ. ბაქმაძე და მ. ელერდაშვილი. ფინალში მათ დაამარცხეს მ. მარციენკოვსკი და პ. სლეციისკა.

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცათ სამახსოვრო სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებით ფიზკულტურის ინსტიტუტისა და მეგენერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებს შორის მდებარე ქუჩას ვასტანგ ლეკვაკას ქუჩა ეწოდა.

თ. მარიამული.

ბოგბურთი

მოკლედ

ველოსპორტი. გაიმართა მშვიდობის ველოსრბოლის მეხუთე ეტაპი შეკინი (პოლონეთი)-ზოტერანდენბურგი (გდრ) — 155 კმ. ფინიშზე პირველი იყო ე. ოსოკინი. რბოლას კვლავ საბჭოთა ნაკრები ლიდერობს, პირად ჩათვლაში — მისი წევრი ალეო პეკუუსი.

ფარიკაობა. ტრიესტში (იტალია) გაიმართა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. ფინალში ჩვენმა ხმლით მოფარიკავეებმა დაამარცხეს იტალიის გუნდი — 9:6. საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: სიდიკეი, პავლენკო, ბურეკეი, ნაზლიმოვი და ილიუკი.

ტანვარჯიში. პრაღის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის. კონტინენტის შარშანდელმა ჩემპიონმა, რუმინელმა მოსწავლემ ნადია კომანეჩიმ შეინარჩუნა უმაღლესი ტიტული — ნებისმიერი პროგრამით მრავალჭიდში დააგროვა 39,8 ქულა. ამასთან ერთად მან უმაღლესი შეფასებები მოიპოვა დვირზე (9,9) და თავისუფალ ვარჯიშში (9,85). ვერცხლის მედალი მოიპოვა ნორჩმა მოსკოველმა ელენე მუზინამ — 38,95, ბრინჯაოსი — ჩიმკენტელმა ნელი კიმმა — 38,85 ქულა. გუშინ სალამოს გამოვლინდნენ ჩემპიონები მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში.

ფეხბურთი. სსრ კავშირის ფეხბურთის ხამმართველ ო დ ა ნ გვაცნობეს, რომ თბილისის „დინამოს“ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩზე (12 მაისს) გამოუცხადებლობის გამო, დამარცხება ჩაეთვალა. ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ლოკომოტივი“ და „დნეპრი“. ასპარეზობა 16 მაისს გაიმართება მოსკოვის „ლოკომოტივის“ ცენტრალურ სტადიონზე.

თ. მარიამული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ბათუმი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-93-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЦ 07708

ბაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14